№ 57
პარასკევი 15 მარტი, 1902 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერი შაურ ~~ა~~

,,ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1902

# ივერია

№ 57
პარასკევი 15 მარტი, 1902 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც.
საზოგადოების კანტორას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.

,,ივერიის" ტელეფონი № 227.

87

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლკოვნიკი ივანე ქაიხოსროს ძე ქავთარაძე და შვილები მისნი: პავლე, პეტრე, სერგეი, მარიამი, ანნა, ნატალია და ელისაბედი და სიძე თავადი იასონ ნიკოლოოზის ძე ნიჟარაძე გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ-რა გარდაცვალებასა პირველი—მეუღლისა, მეორენი—დედისა და მესამე სიდედრისა

## ევდოკია გიჟიას ასულის ქავთარაძისას,

უმორჩილესად ვთხოვთ ნათესავთა და ნაცნობთ დაესწრნენ მიცვალებულის გამოსვენებას თოფურიას საავადმყოფოდგან ალექსანდრე-ნეველის ტაძარში და იქიდგან ვაგზალზედ. მიცვალებულის დასაფლავება დანიშნულია კვირას, 18 მარტს, სოფელ ზოვრეთში. (1—ნ.—1)

მეუღლე და შვილები გარდაცვალებულის ალექსანდრე ნიკოლოოზის ძის აბდუშელიშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 16-ს ამა მარტს, შაბათს, დილის 10 საათზედ ქ. ქუთაისში მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში და სოფელ ითხვისში შორაპნის მაზრისა, ნათლის-მცემლის ეკკლესიაში, გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი. (1—310—1)

## 1 მარტიდგან წლის დამლევამდე გაზეთი ,,ივერია"

ღირს **რვა მანეთად და თხუთმეტ შაურად** (8 მ. და 75 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ხელის მოწერა მიიღება:**

**ტფილისში:**—,,ივერიის" რედაქცია (ნიკოლოოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
**ქუთაისში:**—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
**ბაქოში:**—ხიდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
**ხონში:**—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа". ტელეფონი № 227.

**უნივერსიტეტებისა და სხვა მაღალ სასწავლებელთა მოსწავლე სტუდენტობის დამხმარებელ საზოგადოების დამაარსებელთ** ამით ვიწვევთ და ვსთხოვთ, რაკი უკვე მოვიდა დამტკიცებული წესდება ამ საზოგადოებისა, მობრძანდნენ და ბჭობა იქონიონ იმ საორგანიზაციო ღონისძიებათა შესახებ, რომელთა მიღებაც საჭიროა საზოგადოების მოქმედების დასაწყებად. ბჭობა დანიშნულია საარტისტო საზოგადოების სადგომში, 17 მარტს, საღამოს 8 საათზედ. ამასთანავე ვსთხოვთ მობრძანდნენ ყველა ისინიცა, ვინც თანაუგრძნობს საზოგადოების აზრს და დანიშნულებას და მსურველია მიიღოს მონაწილეობა მისს მოღვაწეობაში. (3—3)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
**მალალაშვილი**

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე ს-ა ექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტეროლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (წ.)

ექიმი
## ვახტანგ ღამბაშიძე

სწამლობს შინაგანსა და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 11-მდე და საღამოს 5-დგან 7-მდე. რეუტის ქუჩა, № 24. (წ.)

**იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი**
ექიმი

სწამლობს სიფილისსა და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85. (წ.)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 ს., გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.

**ე. გ. ფედოროვი**—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.

**გ. გ. მალალაშვილი**—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

**ვ. დ. ღამბაშიძე**—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

**კ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი, 12—1 საათ.

**ა. გ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

**სტ. ა. ვოინო**—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

**გ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

**ა. გ. მალალაშვილი**—შინაგან და ბავშვებისა, 5—6 საათ. მიკრო-ქიმიური და საბაქტეროლოგო გამოკვლევანი.

**ვ. ს. დავიდოვი**—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა, 7—8 საათ.

**კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:**

**გ. გ. მალალაშვილი**—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ. იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** დილის 11—12 საათ. ყელისა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო [illegible] ექიმის დანიშნით.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი,** 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6 7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасаріанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон-
(წლ.)

### მთავრობის განკარგულება.

„ჩერნ. ვესტნიკში" დაბეჭდილია შემდეგი სავალდებულო დადგენილება ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისა:

„საზოგადოებრივ მშვიდობიანობისა და წესიერების დარღვევის თავიდგან ასაცილებლად, საგუბერნიო დებულების მე-421 მუხლის თანახმად, საჭიროდ ვრაცხ გამოვსცე შემდეგი სავალდებულო დადგენილებანი ქუთაისის, ბათომის, ფოთის, სოხუმის, ოზურგეთის, ზუგდიდის, ახალ-სენაკის, ჰიათურისა და ონის მცხოვრებთათვის:

1) აკრძალულია ხალხის ყრილობა და კრება ზემოაღნიშნულ ქალაქ-დაბების ქუჩებში და მოედნებზე სათათბიროდ და საზოგადო მშვიდობიანობის დამრღვეველ მოქმედებისათვის.

2) აკრძალულია ხსენებულს ადგილებში ქუჩებში და მოედნებზე ყოველი შეჩერება და ყრილობა, თუ საჭიროებით არ არის გამოწვეული.

3) აკრძალულია ხსენებულს ადგილებში თავის მოყრა საყურებლად, როდესაც ქუჩაში უწესოება და არეულობა დაიწყება.

4) შეგროვილი ხალხი ვალდებულია დაიშალოს პოლიციის პირველ მოთხოვნილებისათანავე.

5) აკრძალულია ყველასათვის ჩარევა პოლიციის განკარგულებაში, როდესაც ის თავისს მოვალეობას ასრულებს, და აგრეთვე პოლიციის მოქმედების საჯარო განსჯა და კრიტიკა.

ყველა, ვინც შენიშნული იქნება მშვიდობიანობისა და წესიერების დამრღვეველ მოქმედებაში, პოლიციის პირველისავე მოთხოვნილებისამებრ უნდა გაჰყვეს საპოლიციო დაწესებულებაში ჩვენების მისაცემად და ნება არა აქვს იქვე ქუჩაში დაობა დაუწყოს პოლიციელთ.

6) თუ ქუჩებში არეულობა დაიწყო, პოლიციის პირველისავე მოთხოვნილებისამებრ დაკეტილ უნდა იქმნას ალაყაფის ყველა კარები, მაღაზიები, დუქნები, სარდაფები და საზოგადოდ ყველა სავაჭრო დაწესებულებანი.

7) ვინც ამ დადგენილებათ დაარღვევს, საგუბერნიო დებულების მე-423 მუხლის თანახმად, პასუხის გებაში იქმნება მიცემული.

8) აგრეთვე პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი ისინიც, ვინც წააქეზებს სხვებს ამ დადგენილებათა დარღვევისათვის.

9) ეს სავალდებულო დადგენილებანი ძალაში შედიან გაზეთებში გამოცხადებიდგან 14 დღის შემდეგ.

ქუთ. სამხედრო გუბერნატორი
გენ-მაიორი **სმაგინი**".

### ყალბი ფირმები და კახურ ღვინის ფასის დაცემა.

ფეხს ვერ გადასდგამთ ტფილისში ისე, რომ ღვინის სარდაფი არ შეგხვდეთ, რომელზედაც ვეებერთელა ასოებით ვისიმე თავადიშვილის გვარი და სახელი არ ეწეროს ზედ გვირგვინ წამოსკუპებული. ხამს და უცოდინარს კაცს ეგონება, რომ ასეთ სარდაფებში მართლა კახური ღვინო იყიდებაო. ნამდვილად-კი ვერა ჰნახავთ იქ ვერც კახურ ღვინოს და ვერც კახელ თავადიშვილს: ვაჭრობს სულ სხვა ჯურის ხალხი და ჰყიდიან სულ სხვა მხრის ღვინოს. ამ გვარს სარდაფებს არამც-თუ ტფილისში, მთელს კავკასიასა და რუსეთშიაც შეჰხვდებით. შეხვდებით იმისთანა ღვინის სავაჭროსაც, რომელზედაც თავადიშვილის სახელისა და გვარის გარდა აწერია: „კახური ღვინო საკუთარის ბაღებიდამაო". ამ გვარს სარდაფში უმეტეს ნაწილად კახურ ღვინოს ხომ სანთლითაც ვერ იპოვნით, მაგრამ ამას გარდა თვით იმ თავადიშვილს, რომლის „ბაღების" ღვინოც ვითომ სარდაფში იყიდება, ხშირად ერთი ნაჭერი მიწაც არ მოეპოვება კახეთში. სხვათა შორის, ვიცნობთ ერთ ვაჭარს, რომელსაც ტფილისში სწორედ ასეთი „ყალბი ფირმა" აქვს. ფირმა კარგა დიდია და იმისმა პატრონმა რამდენისამე წლის განმავლობაში დიდ-ძალი ფული შეიძინა. ეტიკეტზედ ამ ვაჭარს უწერია: ,,კახური ღვინო" და ერთის თავადიშვილის გვარი და სახელი. ნამდვილად ვიცით, რო ამ თავადიშვილს არამც თუ ღვინო არა აქვს, არამედ ერთი ოთხ-კუთხი არშინი მიწაც-კი არ მოეპოვება, რომ ზედ მოიკეცოს და სთქვას, მე ჩემს საკუთარ მიწაზედ ვზივარო.

ამ საქმეში, რაღა ლაპარაკი უნდა, ვაჭარზედ თუ არ მეტად, ნაკლებად მაინც არა, ის თავადიშვილნი ირიან დამნაშავენი, რომელნიც ნებას აძლევენ თავიანთ გვარის გამოცხადებისას და არც მოწმობებს იშურებენ რასაკვირველია, თავიანთ სახელის გამყიდველი თავადიშვილნი ცოტაოდენ სასყიდელს იღებენ, მაგრამ ეს სასყიდელი იმ ზარალის მეასედსაც არ შეადგენს, რა ზარალსაც „ყალბი ფირმები" კახეთის მევენახეობასა და კახურ ღვინოს აყენებენ. ვიმეორებ, ამისთანა ყალბ ფირმებს ყოველ ნაბიჯზედ შეჰხვდებით; ორი ან სამი ღვინის სარდაფია მხოლოდ, რომელთა პატრონნიც ეტიკეტზედ გამოცხადებულნი არიან.

როგორც ფირმებია ყალბი, ისე ღვინო აქვთ „ყალბი". იშვიათ სარდაფში ჰნახავთ კახურ ღვინოს, თუმცა ყველა სარდაფს აწერია—კახური ღვინო იყიდებაო. ან-კი რად წავლენ კახეთში და რად მოიტანენ ნამდვილ კახურ ღვინოს, როდესაც სეიფალოსი, ქურდამირისა, განჯისა და მატრასიის ღვინო კახურ ღვინის ადგილას იყიდება? რად წავა სირაჯი თავის დროზედ კახეთში ღვინის სასყიდლად, როდესაც ეს ღვინო კარგ ფასშია? ის არა სჯობია, ბევრად უფრო იაფად ჯერ სხვა მხრის ღვინოები მოიტანოს და შემდეგ, როდესაც კახელ მემამულეთ გაუჭირდებათ და ღვინოს იმ ფასად გაიმეტებენ, რა ფასადაც სხვაგან იყიდება, მაშინ წავიდეს და ოც თუმნიანი საპალნე ექვს-შვიდ თუმნად იყიდოს?

დიაღ, დაქვეითება და ფასის დაცემა კახურ ღვინისა უპირველესად უნდა მივაწეროთ ,,ყალბ ფირმებს".

კახელთა ცხოვრების ერთი უმთავრესი სალსარი მეღვინეობაა და, თუ ღვინოსაც ბაზარი არ გაუფართოვდა, ცუდი საქმე მოელის კახელ მემამულეებს და გლეხობას.

ერთი ახირებული ჩვეულებაა კახეთში,—გლეხის ღვინო საპალნე სამ-ოთხ თუმანზედ ნაკლებ იყიდება, ვიდრე მემამულესი. მართალია, ძალიან ხშირად თავადიშვილის ღვინო უფრო კარგია გლეხის ღვინოზედ, რადგანაც გლეხებს პაწია ვენახები აქვთ და უმეტეს ნაწილად ერთმანეთში ურევენ ყველა ხარისხის ყურძენს, რის გამო ხეირიანი ღვინო ვერა სდგება, მაგრამ იმ შემთხვევაშიაც-კი, როდესაც გლეხის ღვინო მემამულისას არ ჩამოუვარდება, იგი ნაკლებ ფასში იყიდება. თითქმის ყველა მემამულის ვენახებს გლეხები აკეთებენ სანახევროდ და მაინც კიდევ კარგი ფასი აქვს მემამულის წილს და გლეხისას-კი არა. ხშირად ერთ და იმავე მარნიდამ, ერთს და იმავე ღვინოს თავადიშვილის წილს სირაჯი ცხრა თუმნად ჰყიდულობს, იმის მონახევრის გლეხის ღვინოს-კი ექვს თუმნად. ამისთანა მაგალითები ბევრია. ნუ-თუ ამ უბედურებას ბოლო ვერ მოეღება? ნუ-თუ კახელ მემამულეებმა და გლეხებმა არ უნდა იგრძნონ, რომ მათ ნაღვაწს ფასი უნდა დაედოს?! აბა, გამოიანგარიშონ, რა უჯდებათ ვენახის შემუშავება და რა შემოსავალი აქვთ. ნამეტნავად ამ ბოლოს დროს, როდესაც ათასი სხვა-და-სხვა ხარჯი მოემატათ, მაგ. წამლებისა, აპარატებისა, ბოჭკებისა და სხვა. აი, ეხლა კიდევ სეტყვის ზარბაზნებსაც დასდგამენ და, რასაკვირველია, ეს ხარჯიც მამულს მიეკეცება.

ჩვენის აზრით, უპირველეს ყოვლისა კახელმა მემამულეებმა უნდა იღონონ რამ „ყალბის ფირმების" წინააღმდეგ. საჭიროა თავადიშვილი თუ გლეხი ჩაეწეროს „კახეთის" საზოგადოების წევრად. „კახეთი", ღვთის მადლით, დღითი-დღე აუმჯობესებს თავისს საქმეს და აფართოვებს სავაჭრო ოპერაციას. თავისს ცხრა წლის არსებობის განმავლობაში საზოგადოების წევრთა რიცხვი ერთის ექვსად იქცა, ხოლო გაყიდულის ღვინის რაოდენობა და ღირებულობა—ერთი სამად. ამ ყოვლად სიმპატიურს საზოგადოებას შეუძლიან მთელის კახეთის ღვინოები გაასაღოს. თუ ეხლა წვრილ-წვრილი ვაჭრობა აქვს, მაშინ, როდესაც თითქმის მთელ კახეთის ღვინოებს ჩაიგდებს ხელთ, შეუძლიან ბარხანობით გაყიდვა დაიწყოს რუსეთში და საზღვარ-გარედ. მხოლოდ მაშინ დაედება ფასი კახურ ღვინოებს.

საკვირველია, რომ მემამულეთა უმრავლესობა ჯერაც არ არის ,,კახეთისა" საზოგადოების წევრად!.. ნათლად ხედავენ, რომ ,,კახეთი" იღებს ღვინოს საპალნეს ორ-სამ თუმნით მეტად, ვიდრე სირაჯები; ,,კახეთი" იწყავს ოც და ათ ჩაფათ საპალნეს, კერძო ვაჭარნი-კი 32 ჩაფათ; ,,კახეთი" იღებს ღვინოს ,,ნასოსით", კერძო ვაჭარნი ჩაფით (ამ შემთხვევაში განსხვავება ის არის, რომ ჩაფით ამოღებული ღვინო ერთ ჩაფს მეტს მაინც წაამეტებს საპალნეზედ) და სხვა.

„კახეთის" საზოგადოება არც-კი აგრძნობინებს თავისს წევრებს, როგორ შეაქვს ბანკში შესატანი ფული და ვერც-კი იგებს, როგორ მიდის მის კარზედ შაბიამანი, გოგირდი, აპარატები და სხვა საჭირო იარაღი.

დიდი შეღავათია კახეთისათვის ეს საზოგადოება.

იქნება ბევრმა სთქვას, რომ ქართველებს საზოგადო საქმე არ წაუყვანიათო და ვერც ახლა წაიყვანენო, მაგრამ შეურყეველი საბუთები გვარწმუნებს, რომ ,,კახეთი" თან-და-თან წინ მიდის და არა უკან, მაშინ უფრო წავა წინ ეს საქმე, როდესაც მოისპობა ,,ყალბი ფირმები".

ჩვენ არა ვთხოულობთ, კახელები უსათუოდ ,,კახეთის" საზოგადოების წევრებად გახდნენ. საჭიროა მხოლოდ შეერთება და სხვა ამგვარისავე ამხანაგობის დაარსება, როგორიც ,,კახეთია". როდესაც ამხანაგობის პირობანი შემუშავდება და შიგ იმასაც ჩაურთავენ, რომ ,,არც ერთ წევრს ნება არა აქვს კერძო ვაჭარს მისცეს თავისი ფირმა", ჩვენა გვგონია, რომ თავის-თავად მოისპობა ,,ყალბი ფირმები".

დიდად საჭიროა აგრეთვე დაარსდეს გლეხთა ამხანაგობა. თუმცა საუბედუროდ, გლეხნი ძალიან დაშინებულნი არიან ამ გვარ საქმეებში და ძრიელ უფრთხიან სავაჭრო ოპერაციებში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ თუ სათავეში ქართველი შეძლებული ვაჭარნი ჩადგნენ, საქმის მოგვარება მაინც შეიძლება. ეს საქმე ასე უნდა მოხერხდეს: უნდა დაარსდეს ამხანაგობა პაებით. შესდგეს საკმაო თანხა და დაიწყოს ყიდვა და გაყიდვა გლეხთა ღვინისა. ამხანაგობამ უნდა მიაწოდოს გლეხებს თავისს დროზედ წამალი და სხვა საჭირო დახმარება გაუწიოს, რომ გლეხი აღარ მივიდეს სოფლის წურბელასთან, არ ისესხოს მისგან ფული და არ დაუკვეთოს ტკბილი ნახევარ ფასად და სხვ.

ამით ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ უსათუოდ გლეხნი გაცალკევდნენ და მემამულეებთან ერთად არ იმოქმედონ. პირ-იქით უფრო სასურველი იქნება, რომ გლეხებმა და მემამულეებმა ერთად შეადგინონ ამხანაგობა და ერთად დაიწყონ ვაჭრობა. მით უფრო მოსახერხებელია ეს საქმე, რომ მომეტებული ნაწილი კახელ გლეხთა მონახევრენი არიან თავადიშვილების ღვინის მოსავლისა.

კიდევ ვიმეორებ, თუ ამ გვარი რამ მალამო არ დაედო კახურ მეღვინეობას და ბაზარი არ გაუჩნდა, შესაძლებელია შემდეგ უფრო დაეცეს ეს მევენახეობა. ღვინოსთან ერთად უფასოდ იკარგება თხლე-ჭაჭაც. როდესაც ამხანაგობანი დაარსდება, მაშინ თხლე-ჭაჭასაც უპოვნიან გზას და ასე თუ ისე ბევრად სასარგებლოდ გამოიყენებენ.

ი. მ.

## ახალი ამბავი

✦ საქალებო 1 გიმნაზიაში დაიცალა ქალაქის თვითმმართველობის ერთი სტიპენდია. ამ დღებში კენჭი უყარეს 34 მოსწავლე ქალს და ერგო მეხუთე კლასის მოსწავლეს ეფემია შუაქრიშვილს. ეს არჩევნები შეატყობინა გიმნაზიის საქმის მწარმოებელმა არვანიტაკიმ ქალაქის გამგეობას. გუშინ-წინ ქალაქის გამგეობამ დაადგინა კანონიერად იქმნეს არჩევანი ეფემია შუაქრიშვილისა და ჩაირიცხოს ქალაქის სტიპენდიანტად.

✦ ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ქალაქის გამგეობამ წინანდელ გარდაწყვეტილების წინააღმდეგ ეხლა გამოაქვეყნა, რომ გამოირიცხებიან ამომრჩეველთა სიებიდამ ის პირნი, რომელთაც არ შეუტანიათ დასაფასებელი გადასახადი პირველ იანვრამდე 1902 წ. ამ განკარგულებით ქალაქის ზოგიერთი სახლის პატრონნი უკმაყოფილონი დარჩნილან და აპირებენ საჩივრით მიჰმართონ საბჭოს, რათა პირველი დადგენილება სცნონ კანონიერად

და ეს მეორე-კი გააუქმონ.

✦ დღეს, თხუთმეტს მარტს, საღამოს რვა საათზე კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია საზოგადოების საბჭოს წევრთა კრება, რომელიც განიხილავს სხვა-და-სხვა საქმეებს.

✦ ამ ბოლოს ხნებში რკინის გზებზე ერთობ გახშირდა მგზავრთა ბარგის (ბაგაჟი) გაქურდვა საბარგო ვაგონებში. ქურდები ისე ოსტატურად ხსნიან შეკრულს ბარგს, იღებენ უფრო ძვირფასს ნივთებს და ხელ-ახლა ისევ შეჰკრავენ ხოლმე, რომ როცა მგზავრებს ბარგს უბრუნებენ, მიმცემიც და მიმღებიც ვერც გარეგან შეხედულობით და ვერც წონით ვერ ატყობენ, თუ იმ ბარგიდგან რაიმე მოიპარეს. ამ ნაირად ბარგის გაქურდვა გამოუძიებელი რჩება და თვით ქურდები დაუსჯელნი. ასეთის მოვლენის მოსასპობად გზათა სამინისტრომ წინადადება მისცა ყველა სახელმწიფო რკინის გზების უფროსებსა და კერძო რკინის გზების მმართველთ უაღრესი ყურადღება მიაქციონ იმ გარემოებას, მეტი თვალ-ყური იქონიონ ბარგის მეთვალყურე მოსამსახურეებზე, რადგანაც საფიქრებელია, რომ ხშირად ესენი უნდა იყვნენ დანაშაულნი ასეთს „საქმეებში".

✦ რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელთა სათათბირო კრებას გარდაუწყვეტია შემოღებულ იქმნას კონდუქტორთა ბრიგადების საურთიერთო პასუხის გება უბილეთოდ მგზავრების წაყვანისათვის.

✦ რკინის გზების მთავარ სამმართველოს განუმარტებია ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოსათვის, რომ რკინის გზების სამკურნალოებში, როცა ისინი გადამდებ სენით იქნებიან ავად და ისიც იმ შემთხვევაში, თუ მათი მიბარება სხვა კერძო სამკურნალოში შეუძლებელია. რკინის გზის სამკურნალოში წამლობისათვის მათ უნდა გადახდეთ ფასი შინაგან საქმეთა მინისტრისაგან დამტკიცებულის ნიხრით.

✦ შემახელთა წარმომადგენლებს ხელმწიფისაგან საგანგებოდ გამოგზავნილის თ-დის ობოლენსკისათვის მიუციათ ხელმწიფისათვის მისართმევი თხოვნა, რომ სად. ნავაგიდგან შემახამდე რკინის გზის შტო გაუყვანონ მათ. თხოვნასთან ერთად მისცეს დასაბუთებული მოხსენება იმის თაობაზე, თუ რა მდგომარეობაშია შემახასა და მის მაზრაში ვაჭრობა, მრეწველობა, სასოფლო მეურნეობა და სხვ. ამ მოხსენებიდგან სჩანს, რომ მთელ შემახის მაზრაში ქალაქიანად ითვლება სულ 127,530 მცხოვრები და 712,500 დესეტინა მიწა. ქალაქ შემახაში, (რომელიც ამ ჟამად ისევ შენდება) მრავალ აბრეშუმის ქარხნებს გარდა სხვა არა-ნაირი ფაბრიკა და ქარხანა არ არის და ყველაფერი რუსეთიდგან და ბაქოდგან მოაქვთ შოლითი. მოტანილ საქონლის წონა უდრის 3.863,324 ფუთს და ფასი—12.107,286 მანეთს. მოხსენებაში, სხვათა შორის, ისიცაა მოხსენებული, რომ რკინის გზის გაყვანის შემდეგ შესაძლებელი იქნება დამუშავდეს მადნები გლაუბერის მარილისა, გოგირდისა, აზბესტისა, თითბრისა, რკინისა, ნავთისა და სხვ. მოხსენების შენიშვნა ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ შემახაში გადაწყვეტილია ყველამ ხის შენობები აგოს და არა ქვითკირისანი. ეს გარემოება გამოიწვევს რუსეთიდგან ხის აუარებელ მასალის ჩამოზიდვას, რაც, სხვათა საქონელთა შორის, დიდ შემოსავალს მისცემს რკინის გზას. თვით გზის გაყვანა ს. ნავაგიდგან, როგორც ინჟენერებს [illegible]უანგარიშნიათ, დაჯდება სულ 1.021,146 მან.; ყოველ წლიური შემოსავალი ნავარაუდებია—264,500 მან., წმინდა შემოსავალი 84,545 მან. აქედგან 5% უნდა ჩაირიცხოს გზის სათადარიგო თანხაში. ამ ანგარიშით ყოველს დახარჯულს 100 მანეთს მოუწევს 27% დივიდენდი, ანუ 3½% მთელს იმ კაპიტალზე, რაც დაიხარჯება გზის გაყვანაზე («Каспій»)

✦ გზათა სამინისტროში განუზრახავთ ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე შემოიღონ ბილეთები პირდაპირის მიმოსვლისა იმ მგზავრთათვის, რომელთაც რკინის გზით ევროპაში გამგზავრება სურთ.

✦ ხვალ, მარტის 16-ს, ავჭალის სახალხო თეატრში ბ-ნის სვიმონიძის რეჟისორობით წარმოადგენენ სუნდუკიანცის 4 მოქმედებიანს კომედიას „დაქცეულს ოჯახს". წარმოდგენა საღამოს 7½ საათზე დაიწყება.

✦ გამოვიდა პირველი ნომერი პირველის საქალებო სომხურ ჟურნალის „არტემესისა", რომელიც იბეჭდება ეგვიპტეში მარიამ ჰეილარიანის რედაქტორობით. ჟურნალის საგანი არის ხელი შეუწყოს სომხის ქალებს ევროპიულ განათლებას დაეწაფნენ, გააცნოს მათ ევროპის ქალთა მისწრაფებანი და ხმა ამოაღებინოს მათ ქალთა უფლების დასაცველად.

✦ ს. წეროვანიდგან გვწერენ: სოფელ წეროვანის (დუშეთის მაზრა) ბოლოში წეროვნელებს აქვთ დამართული ფარეხები სახელმწიფო მიწაზე. მცხეთელები ათ წელიწადზედ მეტია, რაც ედავებიან წეროვნელებს ამ ადგილს, რის გამო ხშირად ჰქონდათ ერთმანეთთან უსიამოვნება. ფლობელობით-კი აქნობამდე წეროვნელები მფლობელობენ. ჯერ სამართალში საქმე გამოურკვეველია. მცხეთელებმა მაინც ვერ მოითმინეს სამსჯავროს გადაწყვეტილებამდე და ორშაბათს, 11 მარტს, ოთხასამდე მცხეთელი ზოგი თოფით, ზოგი კომბლით და კეტით თავს დაესხნენ წეროვნელების ფარეხებს და სულ მთლად გაანადგურეს. თითქმის ნახევარზედ მეტი ცხვარი ნანგრევებ ქვეშ მოჰყვა. დედაკაცებმა, რომლებიც საჭმელს უმზადებდნენ მწყემსებს, ძლივს გამოასწრეს ფარეხებიდამ, მაგრამ არც გარეთ დაადგათ კეთილი: გაშმაგებული მცხეთელები წიხლის ქვეშ სრესავდნენ, ვინც შეხვდებოდა! ამ დროს მხოლოდ რამდენიმე მწყემსი იყო ფარეხებთან. ბოლოს მათაც შემოემატნენ თავისიანები და ეცნენ მტერს. ასტყდა ერთი ვაი-უშველებელი! მცხეთელებს ბელადათ თავიანთი მამასახლისი ჰყვანდათ. მცხეთელებმა სოფლისაკენაც მიიწიეს და იმის განადგურებაც უნდოდათ. რაღაც ბედათ ეს ამბავი გაეგო ბოქაულს და მოიჭრა თავისის დარაჯებით. მალე დააშვიდა მოჩხუბარი ხალხი. წეროვნელების მხრივ თხუთმეტამდე კაცია მძიმედ დაჭრილი, მათ შორის თითქმის სასიკვდილოთ ორი-სამია. ზარალი ცხვრებისა და ფარეხისა ორას თუმნამდეა.

—

### იმერეთის ამბები:

—

✦ ქუთაისი: 11 მარტს აქაურ საურთიერთო ნდობის ბანკის საქმეების სარევიზიოდ ჩამოვიდნენ პეტერბურგიდგან მთავრობის რევიზორები.

12 ამ თვეს არქიელის გორაზე ლორთქიფანიძის სახლში ნაშუადღევის 4 საათზე უცაბედად მოჰკლეს სემინარიის შეგირდი ვალერიან გაბისონია. საქმე ასე იყო: სემინარიის პირველი კლასის ორი შეგირდი გაბისონია და ტყავშელიძე მეცადინობდნენ მინდორში 5 საჟენის მოშორებით სახლიდგან. სემინარიისავე მესამე შეგირდი, მესამე კლასისა, მიხა კინწურაშვილი ამ დროს ფანჯარასთან გატენილ თოფს სინჯავდა. მას მოუწევია ჩახმახი, რომელსაც უცებ დასხლეტია ფეხი. თოფი გავარდა და ორნივე თავში დასჭრა. უმეტესი ნაწილი საფანტისა გაბისონიას მოხვდა მარჯვენა ყურის ძირში ტუცონოდ დასცა. საბრალოს აუარებელი სისხლი გამოუვიდა, რომელსაც ტვინიც გამოჰყვა. მაშინვე ხირურგის და სხვა ექიმების მოყვანამ დაჭრილი ველარ გადაარჩინა და ერთს საათში დალია სული. ხოლო მეორეს სამიოდე საფანტი აქვს თავის ქალასა და კანს შუა. მისი მდგომარეობა საშიში არ არის. მკვლელი (კინწურაშვილი) ისე შეშინდა, რომ მთელ ორ საათს გამომძიებელს ჩვენება ვერ მისცა. მკვდარიც და მკვლელიც სამაგალითო შეგირდები ყოფილან სემინარიაში, განსაკუთრებით მკვლელი მეტად მშვიდი ახალგაზდაა. ორთავენი ობლები არიან, ერთად-ერთი იმედი თავიანთი ქვრივი დედებისა. სამთავეს საცოდაობა დიდხანს იქ მყოფ მეზობლებსა და აუარებელ შეგირდებში გულ-ამსკვნელ ტირილს იწვევდა...

✦ ამავე გორაზე 11 მარტს ნაშუაღამევის 3 საათზე ექიმ დ. ნაზაროვის ორ-სართულიანი სახლი დაიწვა. ცეცხლის მქრობელ რაზმს ტყუილად გარჯა შერჩა: იგი გორაზე მხოლოდ გათენებისას ავიდა, როცა სახლი უკვე ფერფლად იყო ქცეული. მდგმურებმა ცეცხლისაგან თავიანთი ტანისამოსიც ველარ გამოასწრეს, შიშველი დარჩნენ. ზოგს ფულიც დაეწვა"...

✦ არტისტს ვასილ აბაშიძეს დიდის ამბით მიეგებნენ მისის ნიჭის პატივის-მცემელნი. საიუბილეო წარმოდგენის ბილეთები ორი დღეა, რაც კასსაში აღარ არის, სულ გაიყიდა. დაწვრილებით შემდეგ.

### წერილი ქუთაისიდგან

(ლექციებისადმი გულგრილობა ქუთაისში).

„მრთელი სხეული მრთელის სულის ჭურჭელიაო, უთქვამთ ძველად ბრძენებს და ამ თქმულების ახალ საშუალებით, მეცნიერულად დასამტკიცებლად, ამ სინანულის კვირიაკეში ქუთათურებსაც გვეწვია მასაჟის (სხეულის დაზელი) და სამკურნალო გიმნასტიკის სპეციალისტი ნ. იუშკევიჩი. მოსვლისათანავე გამოაცხადა, რომ 1 და 2 მარტს „მასაჟსა და სამკურნალო გიმნასტიკაზე" ლექციებს წავიკითხავო.

მოსალოდნელი იყო, რომ ამ საინტერესო ლექციებს მსმენელი ბევრი უნდა დასწრებოდა, თუნდაც მარტო საშუალო სასწავლებლიდგან, სადაც მოზარდ თაობის ფიზიკური აღზრდა-განვითარება სხვა-და-სხვა ცირკულიარებით და მოწერილობებით სავალდებულოა. მხოლოდ დღეს ეს ვალდებულება დაქირავებულ აფიცრების 15 წუთის განმავლობაში „руки направо, налѣво, вверхъ, внизъ, впередь, назадь"-ის ძახილით და ხტუნაობით ისაზღვრება და ამგვარი „სალდათური" ვარჯიშობა არის მიჩნეული ახალგაზდობის ფიზიკურ განმავითარებელ საშუალებათ. დღევანდელ სკოლებში ჯერ კიდევ ადგილი არა აქვს ინგლისურ-ამერიკულ სისტემას ბავშვების ფიზიკურად აღზრდისას. ცხოვრებაში გამოსადეგს ცოდნას, თუნდაც სამკურნალო მეცნიერების ნაწილისას—ათასში ერთგან თუ შეხვდებით და ამიტომ რა გასაკვირია, თუ დღევანდელი მოზარდი თაობა ოთხ-კედელ-შუა შეხუთულ ჰაერში გამომწყვდეული, დატვირთული უზომო გაკვეთილების ზეპირობით, ფიზიკურად ასე სუსტია და ვერ იტანს არა თუ ხანგრძლივ ბრძოლას არსებობისათვის, არამედ საუკეთესო მათგანი ცხოვრებაში გამოსვლასაც ველარ ასწრებს, სკოლის სკამზედვე ესალმება წუთი-სოფელს... ასეთია უკუღმართი მიმართულება დღევანდელ სკოლის სისტემისა და თუმცა აქეთ-იქიდგან მუჯლუგუნებს სცემენ, მის წაქცევას მაინც ვერ მოვესწარით...

დღევანდელ სკოლურ სისტემის ტკივილების შესასუსტებლად მეცნიერნი და სპეციალისტნი სცდილობენ და ავრცელებენ ხალხში ფიზიკურ ჯანმრთელობის შესახებ სამეცნიერო ცოდნას. ასეთის ცოდნის გასავრცელებელ საშუალებად მიაჩნიათ სახალხო საჯარო ლექციები, წიგნაკები, ფიზიკურად განმავითარებელ საზოგადოებათა დაარსება და სხ. მისთ. დღეს ქუთაისში მოსული ლექტორიც ამ აზრის ერთი ქურუმთაგანია, რომელსაც ამისთვის შეუწირავს თავი. ყოველ წელიწადს დაიარება რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში, კითხულობს ლექციებს, აარსებს გიმნასტთა საზოგადოებას და, როგორც სპეციალისტ-პრაქტიკი სწავლობს და არჩენს ავადმყოფებს კერძო მიწვევით. ამ აზრით იგი დღეს კავკასიის ქალაქებსაც სწვევია და ჯერ მხოლოდ სამგან: კავკავსა, ბაქოში და აქ იყო. პირველ ორ ადგილას მის ლექციებს თანაგრძნობით მიჰგებებიან, მრავალი მსმენელი დასწრებია და განუზრახავთ კიდეც დაარსება ფიზიკურად განმავითარებელ საზოგადოებისა. ბაქოში-კი ლექტორს უკვე დაუარსებია ამგვარი საზოგადოება, რომელშიაც 50-მდე წევრი ჩაწერილა. რადგან ქუთაისში თანაგრძნობა ვერ მოიპოვა, მისს ლექციებს 15—20 მსმენელიც ძლივს ესწრებოდა,—იგი ახლა ბათუმში გაემგზავრა, საიდანაც შემდეგ ტფილისში აპირებს წასვლას, სადაც ლექციებსა და საზოგადოდ ყოველგვარ კულტურულ დაწყებულებას უფრო მომეტებული თანამგრძნობნი ჰყავს საზოგადოებაში.

1700 წ. გერმანელმა მეცნიერმა ფრიდრიხ გომფანმა აუწყა ქვეყნიერებას, რომ კაცის სხეული მანქანა არის, რომელიც ექვემდებარება მექანიკის კანონებსაო. ამით მეცნიერთა აზროვნება იმ ფიქრზედ დააყენა, რომ ადამიანის სხეულისათვის მოძრაობას სამკურნალო მეცნიერებაშიაც დიდი და სასარგებლო მნიშვნელობა აქვს. მას დღის აქეთ მეცნიერნი სულ იმის ცდასა და დაკვირვებაში არიან, რომ გამოიკვლიონ, თუ რაგვარი მოძრაობა, ფიზიკური ვარჯიშობა უფრო მოსახდენია ადამიანისათვის და რომელი მათგანი უფრო შეესაბამება სამკურნალო მეცნიერების კანონებს. ამ მხრივ გიმნასტიკა და მასაჟი საუკეთესო საშუალებად იცნეს სამკურნალო მეცნიერებაში, როგორც დაუძლურებულ, ღონემიხდილ ადამიანის, ისე ჯან-საღისათვისაც, რომ ნაადრევად არ დასნეულდეს.

მათი დანიშნულება ის არის, რომ გაამაგროს ადამიანის სხეული და მით გამოიწვიოს სულიერი სისაღეც. როგორც მზეში შეერთებულია სითბო და სინათლე, ისე შეერთოს და შეახვოს ადამიანში ფიზიკური და სულიერი სისაღე. ერთი მეორის დამატება უნდა იყოს, ერთის კეთილდღეობა ხელს უწყობდეს მეორის [illegible] ტომაც ფიზიკური ჯანსაღობა [illegible] და მიუცილებელი [illegible] დების და ამიტომ ადამიანმა უნდა იზრუნოს ჯანის სისაღისათვის. ფიზიკური მოქმედება მოძრაობით იხატება, რაც დამყარებულია ძარღვებსა და კუნთებზე, რომელიც ამ დროს იკუმშება და იშლება და ამით იწვევს მოძრაობას სხეულის ნაწილთა შორის. კუნთების ამ შეკუმშვა-გაშლის წყალობით, სხეულის მასაზრდოებელი ნივთიერება ძარღვებში მავალ სისხლის მექანიკურ მოძრაობით, სისწრაფით იცვლება და იწვევს მოძრაობას მთელ სხეულში. სისხლის მოძრაობა ამ დროს უფრო ძალუმია; სისხლის გაჩენის და შერევის პროცესიც ჩქარდება, მატულობს გულის, ფილტვების, კუჭის და სხ. ორგანოების მუშაობა. ყოველსავე ამას მოსდევს მადის მომატება, სასმელ-საჭმელის მომეტებულად ხმარების სურვილი და ღრმა, დამშვიდებული, გამამაგრებელი ძილი. ყოველივე ეს შედეგია სამკურნალო გიმნასტიკისა და მასაჟისა...

სხეულით ვარჯიშობას, გიმნასტიკას და მასაჟს ძველ დროიდგანვე აქცევდნენ ყურადღებას ყოველ კულტურულ ერში. დღეს-კი, როდესაც სამკურნალო მეცნიერებაშიაც მოუნახეს საფუძველი, სხეულის ვარჯიშობა და გიმნაზისტკა ელექტრონითა და წყალით წამლობასთან ერთად უპირველეს საშუალებად არის მიჩნეული ადამიანის სხეულის გასაღების საქმეში. ჩვენებურ აბანოების მექისეობა, ტანის დაზელა, თუმცა პირველ-ყოფილ ხელოვნებას არ გასცილებია, მაინც მარგებელია ადამიანის სხეულისათვის. ამათ რომ მეცნიერულ ნიადაგზე (რასაკვირველია, პრაქტიკულად სწავლებით) ჰქონდეთ შესწავლილი მასაჟის საქმე, ტფილისის აბანოები ბევრად უფრო მარგებელი იქნებოდნენ სხვა-და-სხვა გვარ ავადმყოფთათვის. ბუნებითად იმგვარი მდიდარი წყლები, როგორიცაა ტფილისის აბანოები, პრაქტიკულად გაწვრთნილ მექისეებით, მასსაჟის მცოდნეებით, მკურნალობის შესანიშნავ ცენტრად გადიქცეოდა მთელს კავკასიაში, რომ ამ საქმეს, ვისიც ჯერ არს, ყურადღება ჰქონდეს მიპყრობილი. მაგრამ ჩვენ ხომ ცოდნისა და სიმდიდრის მოხმარებაზე ასე მწყრალადა ვართ და გარეშეთ-კი აბასთუმნის, პიატიგორსკის, კისლავოდსკის, ესენტუკის და სხ. ძვირფას საავარაკო სამკურნალოების მეტი არა სწამთ რა და მხოლოდ იმაზეა მიპყრობილი ყველას ყურადღება, სიმდიდრე და სამეცნიერო ძალღონე... ეს ადგილები რჩეულთათვის არის დანიშნული თვისის სიძვირით, ხელ-მოკლენი-კი, ვინც ექიმების დახმარებასაც ვერ მიჰმართავს, მარჩიელებისა და ეგუნურების მსხვერპლად უნდა გახდეს, სოფლად თუ ქალაქად...

ქუთათურთა ჩვეულებრივ ლექციებისადმი გულ-გრილობასთან ერთად ბ-ნ იუშკევიჩის ლექციების ხელის შემშლელი სხვა გარემოებაც აღმოჩნდა. კანონის ძალით საჯარო ლექციების კითხვა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს აბარია; იმან უნდა დართოს ლექციების კითხვის ნება. ბ-ნი იუშკევიჩიც ტფილისიდგან ამგვარის ნებართვით ჩამოვიდა ქუთაისში და მეჰმართა, ვისიც ჯერ

## ფელეტონი

—

### ბ-ნ არჩილ ჯორჯაძის ციფირები და ოინები.

(დასასრული *)

რაკი ბ-ნმა ა. ჯ—ძემ ასეთი ცრუ ციფირები გამოსჩხრიკა, მერე თამამად და დიდის რიხით ბრძანებს:

„მაგრამ ბ. ტფილისელმა ამას არავითარი ყური არ ათხოვა. ეს კიდევ არაფერი. მან სხვა უმართებულობაც ჩაიდინა. ბიუროკრატიულის აზრებით გამსჭვალული „ივერიის" პუბლიცისტი მკითხველების შემდეგ მოსაზრებას აუწყებს: „სახელმწიფო გლეხ-კაცობა თავის სახელმწიფოობით (ნამდვილად „სახელწოდებით") ამაყობს, თავი მოსწონს ხელმწიფის კაცობით და თამამად და რიხით გაიძახის,—მე სულ სხვა ვარ, მე სახელმწიფო კაცი ვარო". რაა მიზეზი სახელმწიფო კაცის ამგვარ ამაყობისა? იქნება ის მიწა, რომელსაც სახელმწიფო მიწას ეძახიან, ამ გლეხების საკუთრებად გამხდარა? ბ. ტფილისელი სწორედ ამ აზრისაა".

გაგონილა მართლა ასეთი „უმართებულობა", აზრების ასეთი შეფერადება, ასეთი უთაკილობა?! უცნაურის ლიტერატურული ეთიკით ათის აღჭურვილი ბ-ნი ა. ჯ—ძე: რაც სხვისი აზრი და ნაშრომია, ის თავისად მიაჩნია, და რაც სხვას არ მოზმანებია და აზრად არ მოსვლია, იმას-კი ძალდატანებით სხვას ახვევს თავზედ. დიაღ, რაღაც რაღაცეები მომახვია თავზედ და ამასთანავე, მკიცხავს კიდეც. აზრადაც არ მომსვლია, და არც არას დროს არ მითქვამს, რომ სახაზინო მიწა სახელმწიფო გლეხ-კაცობის საკუთრებაა-მეთქი. „ტყუილს დიდი კუდი დასთრევს და მოკლე ფეხი აბიაო", ნათქვამია.

სწორედ ამ გრძელ კუდს დავაჭერ ფეხს, და მოკლე ფეხებიანი სიცრუვე ვერსად გაიპარება. ბ-ნ ა. ჯ—ს მივუთითებ ჩემ სიტყვებზედ, რომელიც „უშველებელ წერილშია" მოყვანილი:

„სახაზინო გლეხ-კაცობას, რომელიც რიცხვით 309,086 სულია ნაჩვენები, ამავე ცნობებითვე, ეჭირა 863,894 დეს. მიწა და ამ რიცხვში საკუთარია მხოლოდ 9,758,$_{45}$ დეს. დანარჩენი-კი სახაზინოა.

კიდევ ვიკითხავ, ასეთი გადასხვაფერება სიტყვებისა, განა, საკადრისია ვისთვისმე?

რისთვის და ვისთვის მოიყვანა ბ-ნმა ა. ჯ—მ 1900 წ. მაისის 1-ის კანონის ამონაგლეჯი, სწორედ ვერ გავიგე, რადგან ეს მის მოსაზრებას სულაც არ ამტკიცებს? ვურჩევ ბ-ნ ა. ჯ—ძეს გულმოდგინედ შეისწავლოს ეს დიადი კანონი და შეიგნოს მისგანვე მოყვანილი სიტყვები:

„Государственные поселяне, **владѣя** предоставленными имъ по отводнымъ записямъ землями, обязаны вносить въ казну опредѣленный закономъ ежегодный платежъ, подъ названіемъ государственной оброчной подати (ibid).

დიაღ, შეიგნოს, რა არის ეს „ვლადეია" (**владѣя**) და მერე ისიც გაიგოს, რა განსხვავებაა სიტყვებში „საკუთნო" (принадлежность) და საკუთრება (собственность), და მაშინ შეიგნებს, რაცა ვსთქვი და რასაც ვიმეორებ, სახელდობრ, რომ

„ჩვენის გლეხ-კაცობისათვის შესანიშნავმა და დიდმა კანონმა 1900 წლის 1 მაისისამ მისი ბედი სამუდამოდ გაარკვია და მთელი ზემორე მოყვანილი მიწა მათ საკუთვნოდ სცნო".

ანუ რუსულად—всю землю призналъ принадлежностью (а не собственностью) крестьянъ. დიაღ, საკუთვნოა ეს მიწა გლეხკაცობისა და, თუ ესე არა ჰგონია ბ-ნ ჯ—ს, გაჰბედოს და ერთი მტკაველი ამ მიწისა ჩამოართოს რომელსამე გლეხ-კაცს და მაშინ გლეხ-კაცობა დაუმტკიცებს, და არა ტფილისელი, ვისი საკუთვნოა ეს მიწა. საკუთვნო რომ არა ყოფილიყო, კანონში არც სიტყვა მფლობელობა (**владѣя**), იქნებოდა მოხსენებული.

აი, კიდევ რასა ჰბრძანებს ბ-ნი ა. ჯ—ძე, ვითომ-და კიდევ ჩემ საწინააღმდეგოდ:

„იტყვიან, რა ცუდია, რომ გლეხები მხოლოდ მოსარგებლენი არიან მიწისა და არა მესაკუთრენიო? სახელმწიფო იმის თავდებია, რომ მიწას გლეხი ვერც გაჰყიდის, ვერც დააგირავებს და ამ რიგად გლეხის სასარგებლოდ დარჩებაო. დიაღ, მეტად ეს კარგია. მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია სახაზინო გლეხი მესაკუთრედ გახადოს და ამასთანავე აღუკრძალოს მიწის გაყიდვა-დაგირავება. რუსეთის შიდა გუბერნიებში ამგვარი წესია შემოღებული. ჩვენა გვგონია, რომ ჩვენშიაც შეიძლება ამგვარი წესის შემოღება...."

მერე, ვინ არის ამის წინააღმდეგი? მხოლოდ არ მესმის, ამით გლეხ-კაცობის მდგომარეობა ეკონომიურად განა შეიცვლება, თუ ნება არ მიეცათ საკუთარი მიწის გაყიდვისა ან დაგირავებისა? ვთხოვთ აგრეთვე ბ-ნ ა. ჯ—ძეს განმარტოს თავისი აზრი, სად და რომელ „რუსეთის შიდა გუბერნიაში" არის ისეთი წესი შემოღებული, რომ გლეხ-კაცნი მიწის მესაკუთრენი არიან და ამასთან ნება არა აქვთ საკუთარი მიწა გაჰყიდონ?

სხვა-და-სხვა ხრიკები და ოინები ბ-ნ ა. ჯ—ძის წერილში უფრო და უფრო თვალსაჩინოალაგს იჭერს. მაგალითი გნებავთ?.. დიდი საძებნელი არ გახლავთ! თუ გინდ შემდეგი ავიღოთ: მე ჩემ წერილში ის აზრი გამოვსთქვი, რომ არაფრის დასაბუთება არ შეიძლება, თუ ერთ რიგს ციფირებისას გამოვაქვეყნებთ და სხვა რიგს ამავე მნიშვნელობის ციფირებისას-კი მივმალავთ, როგორც იქცევა ბ-ნი ა. ჯ—ძე, როდესაც გვეუბნება, რომ

«სახაზინო მიწა უთანასწოროდ არის განაწილებული მკვიდრთა შორის. 20 სოფელში, მაგალითად, თითო კომლს აქვს 0—1-დე მიწა, 26-ში 1—2-მდე, 44-ში 2—3-მდე და სხვაო".

და არას ამბობს იმაზედ, რომ არის სოფლები, სადაც მიწა გადაჭარბებით მეტი უჭირავს თითო კომლს; მაგალითად დავასახელე ბ-ნ ა. ჯ—ძის სახელმძღვანელო წიგნიდგანვე მრავალი სოფელი, რომელთა შორის

„5 სოფელია, სადაც მიწა 200—449 დესეტინამდე უჭირავს თითო კომლს, 52 სოფელია—100—200-მდე და სხ.".

დააკვირდით, ამის პასუხად რასა ბრძანებს ბ-ნი ა. ჯ—ძე:

„ბ. ტფილისელი აქაც სცდება, აქაც სინამდვილეს დაშორებულია. ის მხოლოდ გლეხკაცის სიმდიდრის გამომსახველ ციფირებს გვაჩვენებს და მიწით ღარიბ გლეხებზე სდუმს. არას გვეუბნება. ამერეთში 941 სახაზინო სოფელიაო. ამ რიცხვიდან 5 სოფელს აქვს (კომლეულად) 200—449 დესეტინამდე, 52 სოფელს 100—200 დ., 59 ს. 60—100 დ., 89 ს. 30—40 დ., 46 ს. 25—30 დ., 65 ს. 20—25 დ., 24 ს. 18—20 დ., და 31 ს. 16—18 დესეტინამდეო. ბ. ტფილისელი აქ სწყვეტს თავის სტატისტიკას და იმ ციფირებზე, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ, არას ამბობს. მხოლოდ გვისაყვედურებს, რატომ მიმალეთ სახაზინო გლეხების შეძლების მაჩვენებელი ფაქტებიო. ამაზე ქვემოდ გვექნება ლაპარაკი, ხოლო ახლა-კი ჩვენის მხრივ ვუსაყვედურებთ ბ. ტფილისელს, რატომ დამალა ის, რაც დასამალი არ იყო. ბ. ტფილისელს არ უნდა წაეფარებინა ხელი იმაზე, რომ 72 სოფელს (კომლეულად) 3—4 დეს. მიწა უჭირავს, 44 ს. 2—3 დეს., 26 ს. 1—2 დ. და 20 ს. 0—1 დეს".

განა შესაძლოა ამისთანა მოკამათესთან საუბარი და რისამე გამორკვევა?!.

ამის შემდეგ ბ-ნი ა. ჯ—ძე აბდა-უბდად

*) „ივერია" № 56.

იყო, დასასტამბ აფიშაზე ხელის მოსაწერად. დაუყოვნებლივ ხელი მოუწერეს და ლექტორმაც დაასტამბინა განცხადება, რომ 1 და 2 მარტს ლექციებს ვკითხულობ. მეორე დღეს გამოუცხადეს, რომ ნებას არ გაძლევთ ლექციების კითხვისასაო.

ლექტორი-იუშკევიჩიმაინც არ დასთანხმდა ლექციების გადადებაზე და უთქვამს: მე ვერ დავთანხმდები, რაც გინდათ, ის მოიქმედეთო. იმ დღესვე გამოვიდა შემდეგი ანონსი: «по распоряженію Кут. полиціймейстера лекція по массажу и гимнастикѣ, назначенная на 1 марта 1902 г. въ Кут. кружкѣ, **отмѣнена**» რომელიც მიაკრეს თავზე ბ-ნ იუშკევიჩის მიერ გამოკრულ აფიშებს. ლექტორმა თავისი მაინც არ დაიშალა და დანიშნულ დღეებში წაიკითხა ლექციები და ამ ინციდენტის ამბავი აცნობა გუბერნატორს და პროკურორს და აგრეთვე მთავარმართებელს. საქმე სწარმოებს.

3 მარტს ბ-ნმა იუშკევიჩმა კიდევ გააკრა პოლიცმეისტერის თანაშემწის—ტატიაჩენკოს მიერ ხელ-მოწერილი აფიშები და იწვევდა საზოგადოებას ლექციებზე დასასწრებლად, მაგრამ ორც ამ ლექციას დასწრებია 15-ზედ მეტი მაყურებელი; ამათშიაც, მომეტებულად, მოსწავლენი იყვნენ გიმნაზიიდგან, სემინარიიდგან და ოთხიოდე მოსწავლე ქალების სა პარქიო სასწავლებლიდგან. სამწუხაროდ, ამ თაც ისე ეუცხოებოდათ ლექტორის პრაქტ კული მოქმედება, მასაჟის გაკეთება 15 წლ ს, სანახევროდ გატიტვლებულ ბავშვის ტანზე, რომ მათ შორის სიცილის მეტს არას იწვევდა. ერთმა ახალგაზდამ ვერ მოითმინა და პროტესტი გამოაცხადა: «ничего тутъ смѣшного нѣтъ»-. ლექტორმა-კი ერთ მაყურებელთაგანს ასე უთხრა ანტრაქტის დროს: კლინიკებში ამ გვარი მოქმედება არავის ეუცხოვება, ყველა გულმოდგინედ უყურებს და აქ რატომ-ღაა, რომ ასე გულგრილად დამხვდა საზოგადოება, ასე ეუცხოებათ ჩემი მოქმედებაო. ლექციის კითხვის დროს იმავე „კრუჟოკის“, ოთახებში „კარტისა“ და ჭადრაკის მოთამაშენი გულმოდგინედ შეექცეოდნენ ქუთათურთა ამ ერთად-ერთ თავგასართობს?!

ქუთათურთა ახალი სტუმარი ბ-ნი იუშკევიჩი არა მარტო ზნეობრივად შეიქმნა დასჯილი წესიერების დამცველისა და საზოგადოების მხრივ, არამედ ნივთიერადაც და რომ «კრუჟოკის“ გამგეს შეპირებული ქირა ზალისა (20 მ.) არ ეპატიებია ლექტორისათვის, მადლობის მაგიერ ქუთათური უსიამოვნება თავისს ჯიბით უნდა ეყიდა და ეს რუსული „не повезло“ „ქართულად ნათარგმანები“—საზოგადოებრივ საქმეებისადმი ჩვენებური გულ-გრილობაა...

ისო.

## დაბა და სოფელი

**ს. გუბი** (იმერეთი). ეს სოფელი აღარ ხუმრობს. იყო დრო, როცა ამ სოფელს, ს. კუხს და ივანდიდს ერთი სასოფლო სკოლა ჰქონდათ ერთ-კლასიანი, სამივე სოფლის შუა ადგილს. ეს შუა ადგილი შორავდა თითოეულს სოფელს 3—4 ვერსით. რასაკვირველია, როცა სკოლამ ამ შუა ადგილს იარსება 5—6 წელიწადი, ადვილი იყო, როგორც ჩვენში ჩვეულებად შემოღებულია, მისი გადაკეთება ორ-კლასიანად. დირექციამაც ურჩია მასწავლებელს ერთ-კლასიან სკოლის ორ-კლასიანად გადაკეთება და მთავრობის მხრივ დახმარებასაც ჰპირდებოდა... მაგრამ ხსენებულ სამის სოფლისათვის ხელსაყრელი არ იყო შუა ადგილას სკოლა, თუნდა ორ-კლასიანიცა. მათთვის უპრიანი იყო თავ-თავიანთთვის საკუთარ ერთ-კლასიანის სკოლის გამართვა. ამიტომ მასწავლებელს ხალხისთვის არც-კი უთხოვნია, ესა და ეს სურვილი დირექციისა შეასრულეთო. მასწავლებელმა მოახსენა დირექტორს, რომ ხალხს ერთობ ეშორება საზოგადოების ცენტრიო... დღეს ხსენებულ სოფლებს ხუთ წელიწადზე მეტია საკუთარი სკოლები აქვთ, ზოგს ერთ-კლასიანი და ზოგს ორ-კლასიანი. ს. გუბმა ს. კუხის მიბაძვით, რომელსაც ორ-კლასიანი სკოლა აქვს უკვე რამდენიმე წელიწადია, ითხოვა, რომ ერთ-კლასიანი გუბის სკოლა ორ-კლასიანად იქმნას გადაკეთებული მთავრობის დახმარებით. მაზრის წინანდელ მეთვალყურის სავიჩის თაოსნობით გუბს ორი ერთ-კლასიანი სკოლა უნდა დაეარსებინა გუბის ორს ეკკლესიასთან მთავრობის დახმარებით, მაგრამ ეს სასარგებლო განაჩენი სოფლის ზოგიერთა კუდა-მელების მეოხებით ვერ შესრულდა. დღეს ორ-კლასიან სკოლის დამტკიცებას მოელიან.

ამ დღეებში კიდევ აქაურ მცხოვრების ოდ. სვ-ძის თაოსნობით და ხონის ბოქაულის ბ-ნ ფ-ვას დახმარებით სოფელმა განაჩენი დაადგინა ქალების ერთ-კლასიან სკოლის დაარსებისათვის მთავრობისავე დახმარებით. ბ-ნი სვანიძე, რომელიც მომავალ სკოლის მზრუნველად აირჩია სოფელმა, დირექციასთან წინ-და-წინ მოლაპარაკებულიც არის ამ საქმეზე და სკოლის დაარსების ნებართვას უეჭველად მოელიან.

დღევანდელ ერთ-კლასიან სკოლის მასწავლებელი ბახტაძე დიდ შრომას ეწევა აქაურ მღვდლის კ—ის დახმარებით, რომელიც უსასყიდლოდ საღმრთო წერილს ასწავლის შეგირდებს, რომ სწავლის მოსურნეთ გასწვდეს. ამიტომ ნაშუადღევს მეორე წყებად ასწავლის ბავშვებს, უმეტესად ქალიშვილებს, რომლებიც წელს უადგილობისა გამო სკოლიდგან სამწუხაროდ განდევნილ იქმნენ.

თუ მაგალითი გადამდებია, ეს მაღლაკი (მახლობელი სოფელი) რას შვრება ამის შემდეგ? ამაზე შემდეგ იყოს.

სოფლელი.

**ს. ზარდომეთი** დაბა ონიდგან 10—11 ვერ. სიშორეზეა, მდიდარია სიმინდის მოსავლით. მამულები ცოტა აქვს აქაურს გლეხს, ამიტომ ბევრს სარჩო არა ჰყოფნის წლიდან-წლამდის და იძულებულია იყიდოს ხოლმე. ადგილები მეწყრიანია. ძვირად შეხვდები, რომ ყანა-ვენახი დამეწყრული არ იყოს. აქ სცხოვრობს, სხვათა შორის, ოჯახი აზნაურის ხ. ამირეჯიბისა, ეს ოჯახობა განთქმულია პურ-მარილით, მხნეობით, ადგილ-მამულით და შეძლებით, მაგრამ დახეთ მის უიღბლობას! ამ რამდენისამე თვის განმავლობაში ამირაჯიბს დაეხოცა ცოლი და ოთხი შვილი: სამი გასათხოვარი ქალი და ერთი დაცოლშვილიანებული ვაჟი იოანე. ეს არ აკმარა გაჭირვებულს მოხუცს ულმობელმა სიკვდილმა. მოხუცს მოუკვდა კიდევ ერთად-ერთი ქალიშვილი. ამ გვარად ერთი ოჯახი მოსპო თითქმის რაღაც ავადმყოფობამ. გარშემო მყოფები შიშმა შეიპყრო. ზოგნი ანებებენ თავს სახლს-კარს, სტოვებენ ადგილ-მამულს დამუშავებელს, ანებებენ თავს საქონელს და ერიდებიან ამ უცნაურს სენს, რომელსაც უწოდებენ ჟამს, ხოლერას, სნებას, მუცელას და ვინ იცის კიდევ რას. იმედის მიმცემი და მანუგეშებელი, ეს ოთხი თვეა, არავინ გამოჩენილა. მათთვის არც ექიმი, არც ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს. სოფლელთ ექიმი არა ჰყავთ და დაბაში ავადმყოფთ არ შეუძლიანთ ასვლა. ეს ავადმყოფობა ასეთია: ჯერ გრძნობს ავადმყოფი ცოტათი მუცლის ტკივილს, აძლევს ცოტა სიცხეს, არა აქვს მადა, გადის სისხლზე, 1-2 კვირის შემდეგ მუხლთ ეკვეთება და 1-2 კვირის განმავლობაში ასალმებს წუთი სოფელს. სოფლელნი ამბობენ, რომ ეს სენი უწინდელ ჟამსა ჰგავსო. უნუგეშოდ დატოვებულთა გაჭირვებას საზღვარი აღარა აქვს. ამირეჯიბის ავადმყოფებს აქამდის უვლიდნენ მათ ცოლის ძმები ვასილ და გიორგი, რომლებიც არ აჰყვნენ სოფლის ჭორებს და თავ-გამეტებით შეებრძოლნენ ამ სენს? მათის ხვეწნით ძლივს-ძლიობით მოვიდა ექიმი, მაგრამ ექიმის ერთის ნახვით რა იქნებოდა? დღეს იმ ოჯახს ერთის მოსამსახურის მეტი, რომელიც გამოუჩინა ღმერთმა მათ მომვლელად, სხვა აღარავინ ეკარება.

## რუსეთი

ახლად გამოქვეყნებულის საეგზამენო წესების ძალით, საერო განათლების სამინისტროს სკოლებში გადასვლის ეგზამენები თითქმის ყველა საგანში გაუქმებულ იქმნა და შეგირდებს გადაიყვანენ კლასიდგან კლასში წლიურ ნიშნებით, თუ ნიშნები სამზე ნაკლები არ არის; ვისაც ერთი ორი აქვს, ეგზამენს კანიკულებამდის დააჭერინებენ, ვისაც ორს საგანში აქვს ორი,—კანიკულების შემდეგ.

— ბორგოს საეკკლესიო გაპიტულმა სამხედრო ბეგრის ახალ კანონის ეკკლესიებში არ გამოცხადებისათვის სამს პასტორს ჯამაგირი ჩამოართვა 2—3 თვით და ერთს გაფრთხილება გამოუცხადა.

— ამას წინად „რუსეთის მრეწველობის და ვაჭრობის ხელ-შემწყობ საზოგადოებას“ კრება ჰქონდა მუშათა მოხუცებულობაში დაზღვევის შესახებ. საგნის ყოველ მხრივ განსახილველად, გადაუწვევიათ სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი მოიწვიონ.

— საერო განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული საუნივერსიტეტო წესდებას, როგორც ამბობენ, სახელმწიფო საბჭოში ამ ზაფხულს იქნება განხილული.

— ვიატკის საგუბერნიო ერობის შუამდგომლობით წითელის ჯვრის უმთავრესმა გამგეობამ ათი ათასი მანეთი გამოიღო ვიატკის გუბერნიაში მოუსავლობისა გამო მოსწავლეთათვის სასკოლო სასადილოების და თავშესაფარების გასამართავად.

— 20 თებერვალს ვარშავაში სახელმწიფო დალატისათვის შეპყრობილი პოდპოლკოვნიკი გრომი არის თურმე ნიჟნი-ნოვგოროდის აზნაურთაგანი, სარწმუნოებით მართლ-მადიდებელი, 42 წლისა. სამსახური დაიწყო თავისუფალ ჯარის-კაცად 1876 წ. და ახლა ვარშავის ოლქის საინსპექტორო განყოფილების უფროს ადიუტანტის თანამდებობა ჰქონდა.

## უცხოეთი

**ინგლისი**. როგორც ერთ რუსულ გაზეთს დეპეშით ატყობინებენ, ინგლისის საზოგადოებათა პალატაში არა-ჩვეულებრივი საქმე მომხდარა: ირლანდიელს დეპუტატს დილლონს ჩემბერლენისთვის დაუყვირნიაა: ,,წყეული მატყუარა ხარო''. ინგლისელნი საოცრად გაოცებულან. დილლონი ძალით გაუყვანიათ პალატის დარბაზიდგან. საზოგადოდ ამ ბოლოს დროს ირლანდიისა და ირლანდიელთა საქმე ძალიან გამწვავდა. ომის შემდეგ ეს საქმე ყველაზედ მეტს ყურადღებას იქცევს. არასოდეს ირლანდიელნი ისე თავ-გამოდებით არ იბრძოდნენ თავიანთ ეროვნებისათვის, და არასოდეს ინგლისი ისე შეშფოთებული არ ყოფილა ირლანდიის საქმეებისა გამო, როგორც ეხლა. უმთავრესად ირლანდიელნი მდიდარ ლენდ-ლორდებისაგან მიწის გამოსყიდვას თხოულობენ. არც ლენდ-ლორდები არიან გულზედ ხელ-დაკრეფილნი. ყოველ საშუალებასა ხმარობენ, რომ მთავრობამ ტერრორით ჩააჩუმოს ირლანდიელნი. ლენდ-ლორდებს მეთაურობს და წინამძღოლობს ლორდი ლონდონდერი, რომელსაც ირლანდიაში დიდ-ძალი მამული აქვს. ლორდები თხოულობენ ,,ირლანდიის ლიგის'' გაუქმებას. ამ საქმის გამო თვით მთავრობის წევრნი და მომხრენიც ვერ შეთანხმებულან. სხვა-და-სხვა აზრისანი არიან, მაგალითად, მთავრობის ორი გაზეთი—,,Times''-ი და ,,Daily Telegraph''-ი. პირველი ტერრორის მომხრეა, თხოულობს ლიგის გაუქმებას, ურჩთა დაპატიმრება-დასჯას, გაზეთების აკრძალვას და სხვას. მეორე-კი, თუმცა წესიერების დასაცველად საჭიროდა სცნობს ზომების მიღებას, მაგრამ წინააღმდეგია ლიგის გაუქმებისა და ტერრორისა. ამბობენ, თვით სამინისტროც ორ დასად გაიყოო. ლიბერალთა გაზეთები წინააღმდეგნი არიან სასტიკის ზომებისა. ,,Daily News''-ი სწერს, მაგალითად: ,,გაძლიერებულ დაცვის წესები საუკეთესო სახელია იმ კანონებისა, რომელსაც ომის დროს შემოიღებენ ხოლმე. ამ კანონების შემოღება ჰნიშნავს პოლიციელთა, ჯარის-კაცთა და ჯაშუშთა შემწეობით ბატონობას. დიდი შეცდომაა განსაკუთრებულ კანონების შემოღება ირლანდიაში ეხლა, როდესაც ინგლისს კისერზედ სამხრეთ-აფრიკის ომი აწევსო''. დიდი მომხრე-მოსარჩლეა ჩაგრულ ირლანდიისა ლორდი როსსელი. როსსელმა სთქვა: ,,უდიდესი უგუნურობა იქმნება ირლანდიის ლიგის გაუქმება. ირლანდიაში ამ ჟამად არც ერთი სააგრარო დანაშაულობა არა ხდება. დიდათაა გავრცელებული იქ მხოლოდ ბოიკოტი, და ამ საქმეში ლიგას მართლაც დიდი გავლენა აქვს. მაგრამ ბოიკოტის მოსპობა ყოვლად შეუძლებელია. მთავრობას არ შეუძლიან ძალა დაატანოს ხალხს და იმ დუქანში აყიდინოს საქონელი, სადაც მას არა ჰსურს. იგი ვერ დასჯის ირლანდიელებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ხმას არა სცემენ თავიანთ მეზობლებს, არავითარ საქმეს არ იჭერენ იმათთან. მთავრობამ იქნება ლიგის გაუქმება შესძლოს, მაგრამ ბოიკოტის წინააღმდეგ-კი ვერაფერს გააწყობს. ამას წინად ირლანდიაში მოკვდა ერთი მემამულე ქალი, რომელსაც ირლანდიელებმა ბოიკოტი გაუწიეს, რადგანაც ამ ქალმა თავის მამულიდგან ფერმერი გააგდო. გარდაცვალებულის გვამის დასაფლავება არავის არ უნდოდა. ბოლოს პოლიციას მოუხდა გვამის წაღება სასაფლაოზედ და დამარხვა. რა უნდა ჰქნას ასეთ შემთხვევაში მთავრობამ? ძალად ხომ ვერ დაამარხვინებს მკვდარს? აღკრძალვითა და სისასტიკით საქმე უფრო გამწვავდებაო, დაასრულა როსსელმა.

**სამხრეთ-აფრიკის ომი**. „ფიგაროს“ ლონდონელი კორესპონდენტი სწერს: ,,დღეს ქვედა პალატაში მთავრობას შეეკითხნენ, რაიმე ღონე მიიღო თუ არა მან იმ ბურების წინააღმდეგ, რომელნიც ინგლისელების სამხედრო ტანისამოსს იცვამენ და ამ რიგად ატყუებენ ჩვენ ჯარსაო. სამხედრო მინისტრმა ბროდრიკმა უპასუხა, რომ განათლებულ ხალხთა სამხედრო წესების ძალით, უფლება გვაქვს დავხვრიტოთ ის ტყვე-ბურები, რომელნიცინგლისის სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილნი იქმნებიანო. ლორდი კიტჩენერიც ზოგჯერ ასე სჩადიოდა.

დილონი შეეკითხა ბროდრიკს, განა მან არ იცოდა, რომ ბურები ინგლისელებზე წინად იცვამდნენ სამხედრო ტანისამოსს, რომელსაც ,,ხაკი'' ჰქვიან და რომლის მსგავსი ტანისამოსიც ინგლისელებს აცვიათ? სამხედრო მინისტრმა უპასუხა, ეს სრულიად არ ამართლებს ბურებს, იმიტომ რომ ისინი ზემოდ მოყვანილს ტანისამოსებზე იკეთებდნენ ინგლისის სახელმწიფო სამხედრო ნიშნებსაო.

— ,,Figaro''-ს ლონდონელი კორრესპონდენტი იუწყება, რომ დელარეის დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, რომელსაც მან მეტუენის განთავისუფლების ბრძანება გასცა. ამიტომ დელარეიმ მეტუენი ყველასაგან ფარულად გაისტუმრა კლ[illegible] [illegible]გერს, გაეგო თუ არა ეს ამბავი, დაუპირებია უკან დადევნება. [illegible] თურმე მეტუენს [illegible] მეტად ზრდილობიანად და პატივისცემით ექცეოდა; ნება მისცა აგრეთვე მეუღლისათვის დეპეშით ეცნობებინა თავისი ამბავი. ,,Times'' იუწყება, რომ ერთმა მეგობარმა მიიღო მეტუენის წერილი, სადაც სარდალი სწერს, რომ ჩემი რაზმიდგან ერთი კაციც-კი აღარ დარჩა დაუტყვევებელიო.

**ესპანია**. მადრიდის ,,Gazette''-მა გამოაცხადა ფინანსთა მინისტრის დეკრეტი, რომლითაც დაწესდა რვა საათის სამუშაო დრო სახელმწიფოს მაღაროების, ქარხნებისა და სხვა დაწესებულების მუშათათვის. თუ მუშაობამ გასტანა რვა საათზე მეტი, მაშინ მუშებს მიეცემათ დამატებითი სასყიდელი, ყოველ საათში მერვედი იმისა, რასაც რვა საათის მუშაობის დროს იღებენ.

**ავსტრ-უნგრეთი**. 8 მარტს რეიხსტაგში მომხდარი სხდომა გათავდა გერმანელების დამარცხებით. ხმის უმრავლესობით მიიღეს პროექტები ჩეხთა გიმნაზიის დაარსებისა—ოპავაში, სლოვიანთა—ცელაში, ხორვატთა—პაზინში. სუყველაზე საძნელო იყო სლოვიანთა გიმნაზიის პროექტის დამტკიცება, რადგანაც გერმანელებს ამ გიმნაზიისათვის საჭირო ფული საბიუჯეტო კომისიაში სიიდგან ამოეშალათ. ამ დღეს უმრავლესობა, რომელიც 33 ხმით გამოვიდა, შეადგენდა სლოვიანთა პოზიციის სიმაგრეს. მათ მიემხრნენ რეიხსტაგის იტალიელი დეპუტატებიც. ამ სლოვიანთა გამარჯვების მნიშვნელობა ძალიან დიდია. კენჭის ყრის შემდეგ ყველა გერმანელმა შექმნა ყვირილი, გინება, სტვენა, სტოლების სახურავების ბრახუნი. დაკუმშულ ქალალდების სროლა დაუწყეს პრეზიდენტს. ამ არეულობის დროს დეპუტატებმა ვოლფმა სილა გაარტყა ერთს მისს შეურაცხმყოფელს დეპუტატს. პრეზიდენტი განუწყვეტლად არაწკუნებდა ზარს; მაგრამ ბოლოს თავმჯდომარემ ზარი განზედ ისროლა და პალატიდამ გარედ გავარდა. ასეთის ყვირილითა და უშვერის ლანძღვით დეპუტატები თანდათან დაიშალნენ. გერმანელმა დეპუტატებმა განაცხადეს, ობსტრუქციას განვაახლებთო.

**საფრანგეთი**. მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ პალატამ დაადგინა გაადიდოს დეპუტატთა სამსახურის ვადა: დღემდე ოთხი წელიწადი იყო ეს ვადა, ამის შემდეგ ექვსი იქმნება. ამ გადაწყვეტილებამ დიდად გააბრაზა რეაქციონერთა და სოციალისტთა გაზეთები. სამაგიეროდ გაახარა რადიკალთა გაზეთები. ნაციონალისტთა ,,Journal''-ი სწერს, რომ პალატის გადაწყვეტილება მეტად სამწუხაროა; ამომრჩევლებმა უნდა დაავალონ თავიანთ ახლად არჩეულ დეპუტატებს, გააუქმონ ეს დადგენილება და ძველი წესი შემოიღონო. ,,Gaulois''-ი ამბობს: ჩვენ ახალ დიქტატურას გვიმზადებენ— რადიკალთა და სოციალისტთა დიქტატურას, რომელნიც საფრანგეთის დასაღუპად შეერთდნენ და შეამხანაგდნენ. მესამე გაზეთი ,,Soleil''-ი ამბობს, რომ ამ გადაწყვეტილებით სამინისტრომა და იმის მომხრეებმა მთელი საფრანგეთი

---

მოგვითხრობს, რომ ვითომ მე ვალდებული ვიყავი მიმეღო მხედველობაში ის რიცხვი სახაზინო გლეხ-კაცთა, ,,რომელსაც არც ერთი მტკაველი ნადელი არ უჭირავს'' გუბერნიაში, აგრეთვე არა ვთქვი-რა ,,არც მიწის უთანასწოროდ განაწილების შესახებ სახაზინო გლეხთა შორის'', და კიდევ ბევრს რასმე ისეთსა მწამებს, რასაც ალაგი ექმნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ჩემი წერილი გლეხ-კაცობის ყოფა-ცხოვრებას შეეხებოდა და დამთავრებულიც ყოფილიყო.

ერთი რამ მაოცებს ბ. ა. ჯ—ძის წერილში: მე „ბიუროკრატობას“ მიკიჟინებს და თვითონ-კი სიტყვით „ოფიციალური“ ყურები გამომიჭედა. ბარე ათჯერა აქვს ეს სიტყვა ნახსენები. მისაყვედურებს, რომ მე „ოფიციალურს“ აზრს არ ვაუწყებ, რომ „ოფიციალური“ არა მომწონს-რა, „ოფიციალური“ სტატისტიკი ამა და ამას ამბობსო!.. მე ჭეშმარიტი ცნობები მომყავს, ციფირებს არ ვამახინჯებ და სულაც არა ვსაჭიროებ წამ-და-უწუმ ამ სიტყვის მიშველებას, ბ-ნი ა. ჯ—ძე-კი, ბიუროკრატობის მოწინააღმდეგე, ამ სიტყვით ასაღებს თავისს ყალბ ცნობებს.

ბევრს შეხვდებით ისეთს, რომელიც, რაკი სიცრუვის გზას დაადგება, მერე თითონაც სჯერა, რასაც მოგვითხრობს. სწორედ ასე იქცევა ბ-ნი ა. ჯ—ძეც. ყური ათხოვეთ, რა რიხით ბრძანებს:

„და აი, „ივერია“, რომელიც დას-დასობით სიარულს უარ-ჰყოფდა, თურმე კლასსებრივი და დასებრივი აზრებით ყოფილა გამსჭვალული. იმ აზრის დარღვევისთვის, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა არაფერ შუაშია და მისი ეკონომიური ინტერესი არ ეწინააღმდეგება მწარმოებელ-სოფლელი კაცის ინტერესებს, გვიმტკიცებს, ჩვენს მაღალ წოდებას, საერთოდ აღებულს, მიწა ცოტა უჭირავს და ამისთვის იგი სხვას ვერავის ვერ შეეცილებაო. ოფიციალური სტატისტიკის ცნობა (1260406 დეს. მიწა) ქართველ თავად-აზნაურობის მიწის მფლობელობაზედ კი არ გვითითებს, არამედ საზოგადოდ ტფ. გუბ. ყველა მცხოვრებელ პრივილეგიით აღჭურვილ წოდებაზე. (привил. сослов.) 3330 მამული, რომელიც 1260406 დეს. შეიცავს, ეკუთვნის დიდ მთავარს, თავად-აზნაურობას, ბეგებს, აღალარებს, სამღვდელოებას, მოქალაქეთ, საუფლისწულოს, ეკკლესიებს და სამხედრო და საგზაო უწყებათ და სხვას-და-სხვას, ყველა ამათ საერთოდ აღებულსო. მითომ ახლა რაო? (რა ჩინებულია ეს „მითომ ახლა რაო“?) გლეხებს რა ემატებათ, რომ უზარ-მაზარი მიწის სივრცე სხვა-და-სხვა პრივილეგიით აღჭურვილ პირთ შორის არის განაწილებულია»?

ერთი ვიკითხოთ, ვის საწინააღმდეგოდ გამოილაშქრა ბ-ნმა ა. ჯ—ძემ ამ უცნაური ტირადით? ვინ, როდის ამტკიცებდა, რომ თავად-აზნაურობას მეტი ან ნაკლები მამული უჭირავს გლეხ-კაცობაზედ და ან მეტი თუ ნაკლები ქონება აქვსო? ვინ წამოროშა, რომ ვითომც „გლეხებს იმით ემატებოდეთ რამ, რომ უზარ-მაზარი მიწის სივრცე სხვა-და-სხვა პრივილეგიით აღჭურვილთ შორის არის განაწილებული“? კიდევ და კიდევ ვიმეორებ, გაგონილა მართლა ასეთი „უმართებულობა“ და ასეთი მოურიდებლობა?! აი, მე რა ვსთქვი და რა შევუსწორე ბ-ნ ა. ჯ—ს.

ბ-ნი ჯ—ძე გვარწმუნებს თავისს წერილში, რომ ვითომ „თბილისის გუბერნიაში თავად-აზნაურობის საკუთრებას შეადგენს 3330 (3327) მამული“, ესე იგი სივრცით 1.260,406 დეს. მერე რითი ამტკიცებს ბ-ნი ა. ჯ—ძე, რომ ეს 3,330 მამული ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკუთრებაა და ისიც ქართველ თავად-აზნაურობისა? მე თამამად მოგახსენებ მკითხველს, რომ ამას ვერაფის ვერ დაამტკიცებს, რადგან შემამულეთა რიცხვში არიან მოქცეულნი ყველა ის წოდებანი, პირნი და დაწესებულებანი, რომელნიც ზემოდ არიან დასახელებულნი. ბ-ნ ა. ჯ—ს რომ ის წიგნი, საიდგანაც ეს ციფირი მოიყვანა, გულმოდგინეობით და ბეჯითად გადაეკითხა, დარწმუნდებოდა, რომ ეს 3,330 მამული მთლად თავად-აზნაურობას არ ეკუთვნის. საკმარისი იყო მხოლოდ სათაურის მნიშვნელობა გაეგო და დიდს და დიდს შეცდომას ასცდებოდა. ნუ-თუ ეს შეცდომაც საჭირო იყო ბ-ნ ა. ჯ—ს დოქტრინის დასამტკიცებლად?

ამ ცნობის გამოქვეყნებით და თავისებურ „მეცნიერ-ფილოსოფიურ“ გამოკვლევით ბ-ნმა ა. ჯ—ძემ დიდი გულკეთილობა გამოიჩინა და დიდ-ძალი მიწა უწყალობა ქართველ თავად-აზნაურობას. და რა-კი უწყალობა თავად-აზნაურობას საუფლისწულოთ, დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის, მონასტრებისა, ეკკლესიებისა, მოქალაქეთა და სხვა-და-სხვა კაცთა და დაწესებულებათა მამულები, და ამასთანავე, რა-კი შეუბრალებლად მოექცა ჩვენს გლეხ-კაცობას, ჩამოართვა ის მიწები, რომლებიც იმის სარგებლობაშია, თან უპირველესი საღსარია მისის ცხოვრება-დღეობისა და აქამდე ის მიწები სრულის უფლებით თავის საკუთვნად მიაჩნია, დიახ, რა-კი ასე მოიქცა ბ-ნი ა. ჯ—ძე, რასაკვირველია, ადგილი შეიქმნა მისთვის იმ აზრის თამამად გამოქვეყნება, „რომ თავად-აზნაურობას, რომელიც რიცხვით ათჯერ მაინც არის ნაკლები გლეხობაზედ, იმერეთის მესაკუთრეთა გლეხობაზე შვიდჯერ მეტი აქვს მამულიო.

ეხლა ბ-ნ ა. ჯ—ძე თითონ აღიარებს, რომ შემცდარი აზრი გამოაქვეყნა, რადგან ვერაფერი ვერ მიპასუხა შეცდომის გასწორების საწინააღმდეგოდ, და, ვგონებ, მადლობის მეტი არა უნდა ეთქვა-რა. ამის მაგიერ რაღაც რაღაცეები გადმოგვაბრალა და უცნაურის ხრიკებ-ოინებით თავსა მართლულობს.

მე ვგონებ, ყველასათვის საუკეთესო იქნებოდა, რომ ბ.-ნ ა. ჯ—ძეს ეჩვენებინა, რა გზით და საშუალებით შეიძლება გლეხ-კაცობის მდგომარეობის გაუმჯობესება, წოდებათა შორის ეკონომიურ უთანასწორობის მოსპობა და ამით, როგორც თითონა ბრძანებს, დამყარებულიყო მოძმეთა შორის სანატრელი დამოკიდებულება. ეს ყველასათვის უფრო საყურადღებო და საინტერესო იქნება ვგონებ, და არა ის ხრიკებ-ოინები, რომელიც მარტო მის თავმოყვარეობას აკმაყოფილებს, მკითხველს-კი თავს აწყენს და აბეზრებს. მე ძალიან ვწუხვარ, რომ ამ გვარი საუბარსთ უნდა თავი მოვაწყინო ყველას. ან სადა მაქვს იმოდენა თავისუფალი დრო, რომ ყველა გადასხვაფერებულ და დამახინჯებულს სიტყვას პასუხი უგო? ნათქვამის შემდეგ ვგონებ ყველა დარწმუნდა, რომ ბ-ნი ა. ჯ—ძე ციფირებს კამათლებივით ათამაშებს და ხალხის ეკონომიურ ვითარების გამოკვლევა ისეთ ადვილ საქმედ მიაჩნია, როგორც ნარდის თამაშობა. სასურველია, რომ ბ-ნი ა. ჯ—ძე უფრო ფრთხილად მოექცეს შემდეგში ციფირებს და თავისის ცნობების გასასწორებლად დრო აღარ დაგვაკარგვინოს. მაგრამ განა ბ. ა. ჯ—ძეს ციფირებისა და აზრების არევ-დარევის ჟინს ვინმე მოუკლავს? სწორედ სახალხო ზღაპრულ ჩიტუნიას ამბავი მოსდის. ჩიტუნია მეფის სასახლის ფანჯარაში შემოჯდა და გაიძახოდა: „მე რადაცა მაქვსო, მეფეს-კი არ აქვსო!“ გასცა მეფემ ბრძანება, დაიჭირეთ და წაართვით, რაცა აქვსო. მეფეს ბრძანება შეუსრულეს. ჩიტუნიამ თავისი არ დაიშალა: „შეშურდა და წამართვა, შეშურდა და წამართვაო“! გაიძახოდა სულ ჩიტუნია. მეფეს მოსწყინდა და უბრძანა: დაუბრუნეთ, რაც წაართვითო. ეს ბრძანებაც შეასრულეს, მაგრამ ამითიც არ დაკმაყოფილდა ჩიტუნია: „შეშინდა და მიბოძა, შეშინდა და მიბოძაო“, დასძახა ჩიტუნიამ.

მ. ტფილისელი.

